ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N104/გ

ქ. მცხეთა 07 ოქტომბერი 2016 წ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“,წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ გია ოდიშელიძე შემდგომში ,,მომწოდებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება „ფოლკსვაგენი“ სახ. ნომრით AI 576 AI ტექნიკური მომსახურება. (CPV50112000). თან ერთვის დეფექტური აქტი.

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.
2.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

31 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
3.1.1 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურება.
3.2 ,,შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
42 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
4.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ `მიმწოდებელი" და `შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

9..3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი გურამ მიჭელაშვილი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12 . ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდა 10 სამუშაო დღეში.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ი.მ „გია ოდიშელიძე“
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის 7	მის: ქ. მცხეთა
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი “
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/N GE24NB0330100200165022	ა/N GE37BG0000000784443800
ს/კ 236098824	ს/კ 31001016265
ტელ: 2512696	
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი	ინდ. მეწარმე
ზურაბ აბესაძე	გია ოდიშელიძე